ხელშეკრულება N 03-07

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.ქუთაისი 22 მარტი 2023 წელი

ერთის მხრივ შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანია“ დირექტორის მ/შ ირაკლი ცხვედიანი, მის. ქ.ქუთაისი, სულხან-საბას გამზ. N71ა ს/კ 412750713 ს/ს თიბისი ბანკი ა/ა GE40TB7541334070100001; Email: Kutaisitransportcompany2020@gmail.com (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შპს „გორგია“ დირექტორის მინდობილი პირი ნინო სალდაძე ს/კ 245621288 მის: ქ.ქუთაისი ჭავჭავაძის გამზ. N8 ს/ს „თიბისი ბანკი“ ა/ა GE62TB1007536020100008 (შემდგომში მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ს1'' ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი''-ს მე-2 მუხლის ,,ა'' პუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს სხვადასხვა სამეურნეო საქონელი (კლასიფიკატორის CPV კოდები:: **44521110 – 43.50 ლარი; 39715100 – 99 ლარი; 33711900,-8,25 ლარი: 39831300,-12 ლარი; 33761000-128,70 ლარი;)** (დანართი-ინვოისის მიხედვით);

2. ხელშეკრულების ფასი

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 291,45 (ორასოთხმოცდათერთმეტი ლარი და ორმოცდახუთი თეთრი) ლარს.

2.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

3.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ეს ხელშეკრულება ძალაში შედის 2023 წლის 22 მარტიდან და მოქმედებს 2023 წლის 25 აპრილის ჩათვლით.

4.მიწოდების წესი

4.1 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2023 წლის 25მარტის ჩათვლით
4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის გადაცემისას წარუდგინოს შემსყიდველს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია.
4.3 შემსყიდველი უფლებამოსილია გადაცემის დროს ჩაატაროს საქონლის შემოწმება/კონტროლი.მიმწოდებელი პასუხს აგებს მიწოდებული საქონლის ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი მიწოდებულ საქონელზე მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან 10 დღის განმავლობაში,ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს ინსპექტირების ჩატარებას.თუ ამ პერიოდში აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) საქონელი მიმწოდებელი ვალდებულია 10 დღის განმავლობაში ან გამოცვალოს წუნდებული პროდუქცია, ან ამავე ვადებში დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.
4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით მიწოდებულ,უხარისხო (წუნდებულ),არასათანადოდ შეფუთულ ან არასრულად წარმოდგენილი თანმხლები დოკუმენტაციის მქონე საქონლის მიღებაზე.
4.5 საქონლის გადაცემა დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი შესაბამისი საბუთებით (მიღება-ჩაბარების აქტი და სხვა.)
4.6 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

5. ანგარიშსწორების წესი

5.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულება,საქონლის მიწოდებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, მასში აღნიშნული რაოდენობის პროპორციულად.
5.2 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, დადასტურებული სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.
5.3 ანგარიშსწორების ვალუტა-ლარი.
5.4 გადახდის ფორმა:უნაღდო ანგარიშსწორება

6. მხარეთა ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა

6.1 მიმწოდებელი უფლებამოსილია ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
6.2 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,02%-ს,ოდენობით.
6.3 იმ შემთხვევაში,თუ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა თვეში გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,6%-ს,მხარეებს უფლება აქვს შეწყვიტონ ხელშეკრულება.
6.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისთვის მხარეები ერთმანეთს წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
6.5 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება,მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
(ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი.
(ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული,რომელიმე ვალდებულება.

7.ფორს-მაჟორი

7.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორსმაჟორული გარემოებების შედეგი.
7.2 ამ მუხლის ფარგლებში „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს,რომლებიც არ არის დაკავშირებული მიმწოდებლის შეცდომებსა და/ან დაუდევრობასთან და რომელთა გათვალისწინებაც შეუძლებელი იქნებოდა წინასწარ.ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულიქნას ომით,სტიქიური მოვლენებით,ეპიდემიით,კარანტინით,საბიუჯეტო ასიგნებათა მკვეთრი შემცირებით და სხვა.
7.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში იმ მხარემ,რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება,დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების დადგომის და მათ გამომწვევი მიზეზების შესახებ არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა.

8.სხვა პირობები

8.1 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით.შეთანხმების მიუხწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს საამართლო.
8.2 ხელშეკრულებაში დამატებების ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფომით მხარეათა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხემლოწერით.
8.3 მხარეები ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფომეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად
8.4 ხელშეკრულება შედგენილია ქარულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

9.მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანია“	შპს „გორგია“
დირექტორის მ/შ	დირექტორის მინდობილი პირი
ირაკლი ცხვედიანი	ნინო სალდაძე

LTD Kutaisi Transport Company

Digitally signed by LTD Kutaisi Transport Company
Date: 2023.03.22 13:10:56 +04'00'

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ქუთაისი

ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანი“-ის მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და მონაწილე პრეტენდენტის - (შპს „გორგია“)-ს მიმართ არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში.

შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანი“-ის
დირექტორის მ/შ ირაკლი ცხვედიანი

ყურადღება!
მოცემული ანგარიშის გადახდა ნიშნავს საქონლის მიწოდების პირობებზე თანხმობას.გადახდის უწყება აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში არ არის გარანტირებული საქონლის არსებობა საწყობში. საქონელი გაიცემა მომწოდებლის საანგაარიშსწორებო ანგარიშზე ფულის შემოსვლის ფაქტით, თვითგამოძახებით, მინდობილობის და პასპორტის არსებობის შემთხვევაში.

ანგარიში გადახდისთვის № BM-27305 თარიღით 22.03.2023

მომწოდებელ შპს გორგია, გსნ 245621288, საბანკო ანგარიში: GE62TB1007536020100008

მყიდველი: შპს ქუთაისის სატრანსპორტო კომპანია, გსნ 412750713, საქართველო, ქ. ქუთაისი, შ. რუსთაველი გამზ., N 3, ტელ.: 599 98 07 78

#	შტრიხკოდი	საქონელი (სამუშაოები, მომსახურება)	რაოდენობა		ფასი	თანხა
1	20097204221	კარის საკეტი 77305	1	ცალი	43.50	43.50
2	40555444456	ყავის მადუღარა FRANKO FCM-1167	1	ცალი	99.00	99.00
3	48601182308	თხევადი საპონი 500მლ	3	ცალი	2.75	8.25
4	48601182301	იატაკის საწმენდი 5კგ	1	ცალი	12.00	12.00
5	86989960059	"ნუას" ტუალეტის ქაღალდი 32*3 (500967)	3	ცალი	42.90	128.70

სულ:	291.45
მათ შორის დღგ (18%):	44.46
სულ დღგ-ით:	291.45

სულ დასახელება 5, თანხაზე 291.45 GEL
ორას ოთხმოცდათერთმეტი ლარი და 45 თეთრი

ერთი მხრივ შპს გორგია (ს/კ 245621288), (შემდგომში „მიმწოდებელი"), და მეორე მხრივ ---------- (პ/ნ ---------- (შემდგომში „შემძენი") ვადგენთ წინამდებარე შეთანხმების აქტს მასზედ, რომ მიმწოდებელი უზრუნველყოფს შეკვეთილი ნივთის/ნივთების შენახვას მყიდველის მიერ თანხის გადახდის თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. თუ შემძენი აღნიშულ ვადაში არ უზრუნველყოფს შეძენილი ნივთის/ ნივთების მიმწოდებლის ტერიტორიიდან გატანას, ითვლება, რომ მან უარი განაცხადა ხელშეკრულების გაფორმებაზე და მიმწოდებელს უფლება აქვს შემძენისათვის ყოველგვარი დამატებითი შეტყობინების გაგზავნის გარეშე უარი განაცხადოს საქონლის მიწოდებაზე და ასევე მოიხსნას პასუხისმგებლობა ყოველგვარი შესაძლო ფასის ცვლილების შესახებ. შემძენი აღნიშნულის შესახებ ინფორმირებულია და არანაირი პრეტენზია არ გააჩნია, რასაც ადასტურებს ხელმოწერით ----------

განვადებით შეძენის შემთხვევაში მოქმედებს 4%-იანი საკომისიო

ხელმძღვანელი _____ ხელმოწერა — პაპუნიძე ხ. ხელმოწერის გაშიფრვა

ბუღალტერი _____ ხელმოწერა — _____ ხელმოწერის გაშიფრვა

მენეჯერი _____ ხელმოწერა — დვალი ა. ხელმოწერის გაშიფრვა

GORGIA K2 245621288